საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის

დებულება

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
14 02 2018წ., № 01-05-04/06 დადგენილებით,

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი
საბჭოს (სენატის) მიერ 21 03 2018წ.,
№ 01-06-02/03 სხდომის № 01-06-02/19 დადგენილებით.

2018

1. ზოგადი დებულებები

1.1. თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულება მტკიცდება ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

1.2. თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი (შემდგომში ცენტრი) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული.

1.3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმით“, (2005 წლის 22 იანვარი). ამ მემორანდუმის პირველი „ბ“ მუხლის შესაბამისად შემუშავებულია თეოლოგიის სწავლების საგნობრივი ჯგუფის ერთი ნაწილის სახელმძღვანელოები და პროგრამა.

1.4. ცენტრი წარმოადგენს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ ძირითად სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კოორდინაციას და ხელმძღვანელობას უწევს, როგორც სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე აკადემიური პერსონალის მომზადებასა და მათ გადამზადებას.

1.5. ცენტრი სამეცნიერო და სასწავლო მეთოდოლოგიური მიმართულებით ეყრდნობა სტუ-ს და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის წესდებებს, თვით ცენტრის დებულებასა და შესაბამის ნორმატიულ აქტებს.

1.6. ცენტრი ემსახურება თეოლოგიის სწავლებას სტუ-ს ფაკულტეტებზე და ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას თეოლოგიაში. ცენტრი ფუნქციონირებს სტუ-ს ზოგადსაუნივერსიტეტო დეპარტამენტების მსგავსად და სასწავლო პროცესში თავის საქმიანობას წარმართავს მიღებული დატვირთების შესაბამისად. აგრეთვე, სამეცნიერო მუშაობისათვის გამოყოფილი სახსრებით.

1.7. ცენტრის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან სტუ-ს და ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტის შინაგანაწესი.

1.8. ცენტრის მისამართია 0171 საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, სართული II, ოთახი №213.

2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

2.1. ცენტრის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი, ვითარცა საქართველოს მოქალაქეს, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში ისტორიული, რელიგიური და კულტურული რეალობის გათვალისწინებით, მიაწოდოს მას ცოდნა და ინფორმაცია, ამასთანავე დაეხმაროს, რათა გამოიმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მოამზადებს მას (სტუდენტს) აქტიური მოქალაქეობისთვის, პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს წინაშე, რათა შეიცნოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, გამოიმუშავოს პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი და სხვა კულტურების (მათი წარმომადგენლების) მიმართ, ამასთანავე განუვითარდეს, გაუღრმავდეს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ღირსება და სამართლიანობა.

2.2. ცენტრის პროგრამა დაიცავს სტუდენტის რწმენას, აღმსარებლობისა და სინდისის თავისულებას და არ ჩაერევა სტუდენტის უფლებებში, რომ ნებაყოფლობით აირჩიოს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა; შესაბამისად, ლექტორს არ დაეკისრება ისეთი ვალდებულება, რომლითაც ის შელახავს სხვათა უფლებას. დაუშვებელია რელიგიური პროზელიტიზმის მიზნების გამოყენება, მაგრამ ამასთანავე ლექტორი მოვალეა ისაუბროს სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეიმეცნონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების მნიშვნელობა.

2.3. თეოლოგიის ცენტრის ერთ-ერთი მიზანია XIX-XX სს-ში საქართველოს ოკუპირებისა და ათეისტური მმართველობისას წარმოქმნილი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი შეგნების დაკნინების აღმოფხვრა, რაც მიიღწევა რეალური ისტორიული ფაქტების მიწოდებით, და აგრეთვე, აღდგენით იმ ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა, რომელნიც ამჟამად ახალ თაობას ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ამისთვის ცენტრი მოვალეა გააღრმავოს სამეცნიერო კვლევები და შექმნას ახალი სახელმძღვანელოები და ნაშრომები.

ცენტრის სასწავლო პროცესი დაეფუძვნება საისტორიო ღვთისმეტყველებას მის ეგზეგეტიკურ, სისტემურ და პრაქტიკულ ნაწილებს. საისტორიო ღვთისმეტყველება შეისწავლის ქრისტიანულ საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მის კერძო დისციპლინებს – პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების,

ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიას, რომლის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენს.

2.4. ცენტრი მოამზადებს და გამოსცემს თეოლოგიის საკითხში სამეცნიერო მონოგრაფიებსა და სასწავლო მეთოდურ ლიტერატურას.

2.5. ცენტრი სტუ-ს, საქართველოს და საერთაშორისო მაშტაბით მოაწყობს სემინარებს, კონფერენციებს, პრეზენტაციებს, საჯარო ლექციებს.

3. ცენტრის ხელმძღანელი და პერსონალი

3.1. ცენტრის ხელმძღვანელი შეირჩევა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ და ინიშნება ამ თანამდებობაზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის წარდგენის საფუძველზე.

3.2. ცენტრის ხელმძღვანელი ამტკიცებს მუშაობის საერთო გეგმას, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ გეგმებს და სხვა დოკუმენტებს მიმართულების დონეზე, ანაწილებს აკადემიურ დატვირთვებს და ფუნქციონალურ მოვალეობებს თანამშრომლებს შორის.

3.3. საქმიანობის სფეროებია ცენტრის აკადემიური პერსონალის ფორმირება შესაბამისი სპეციალისტებით; კურუკულუმებისა და სილაბუსების შედგენა; საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით; დამთავრებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების განხილვა; დამთავრებული სადოქტორო ნაშრომების განხილვა მათთვის რეკომენდაციის მიცემის მიზნით; გამოცდებისა და ტესტირების ჩატარების ორგანიზება სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნით; საგამოცდო ფურცლებისა და უწყისების რეგისტრაცია.

3.4. ცენტრის საქმიანობა ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

3.5. ცენტრის პერსონალის შემადგენლობაში შედიან სასულიერო პირები, პროფესორები, მასწავლებლები და მეცნიერები, რომლებიც მანაწილეობენ და წარმართავენ სასწავლო პროცესს და სამეცნიერო კვლევებს.

3.6. სტუ-ს ადმინისტრაცია სასულიერო პირებთან, პედაგოგებთან, მეცნიერებთან და ტექნიკურ პერსონალთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

4. ცენტრზე განპირობებული ქონება და ფინანსები

4.1. თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი განთავსებულია სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, კოსტავას 77, სართული II, ოთახი №213.

4.2. ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოადგენს სტუ-ს საკუთრებას.

4.3. ცენტრი ანგარიშსწორებას ახორციელებს სტუს-ს აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მეშვეობით.